პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი **23.07.2018**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში მდივანი).
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
მალხაზ შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ელენე ალადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერიის'' წარმომადგენლები:
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს მარნეულის კოლეჯის წარმომადგენლები:
ნინო გომელაური - შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის მოადგილე;
სოფიო გომელაური - შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის წარმომადგენლები:
მარიამ ტვილდიანი - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის დირექტორი;
თამარ დაუსი - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ნინო ფანცულაია - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე;
სალომე ჭინჭარაული - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ასისტენტი;
ნინო გიორგაძე - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის იურისტი;
მარიამ გოგია - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის კოორდინატორი.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის წარმომადგენლები:
მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დამფუძნებელი და დირექტორი;
ნატალია ბარათელი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ წივწივაძე - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტი;
გოჩა თოდუა - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ფინანსური სამსახურის უფროსი.
ზურაბ ლობჟანიძე - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
ნათელა ჩიქოვანი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
ნინო მილაშვილი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
დარეჯან მაჭავარიანი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი

ნატო ზაქარეიშვილი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
ხათუნა ბადაშვილი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
ნატო არდილიანი - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი
თამილა ძიგუა - შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნათია ქაჯაია
ეკა ბარათაშვილი
ციური დურული
ია გელენიძე
მარიამ მიქაძე
თამთა კვინიკაძე
ეკა ლუაშვილი
სალომე სიორდია

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ამიტომაც ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მისადმი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დააკისრა მანანა მახარაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიაში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა, შესაბამისად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

შპს მარნეულის კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ, ნინო გომელაური და სოფიო გომელაური, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ციური დურულმა, ია გელენიძემ, მარიამ მიქაძემ და თამთა კვინიკაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 მაისის №377 ბრძანების საფუძველზე, შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულებაში 2018 წლის 6, 7 და 8 ივნისს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს 1992 წლიდან. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 ივლისის №2 გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულებას მინიჭებული აქვს ავტორიზაცია 5 წლის ვადით, შესაბამისად, ავტორიზაციის ვადა ეწურება მიმდინარე წლის 26 ივლისს. 2018 წლის 6, 7 და 8 ივნისს შპს მარნეულის კოლეჯში განხორციელებული ვიზიტის მიზანი იყო შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაცია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობის, პროგრამების რაოდენობის, პერსონალის, ფართის შესახებ

შევსებული იყო ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით და შეესაბამება რეალობას. ასევე, შემოწმდა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დაწესებულებას საავტორიზაციოდ წარმოდგენილი აქვს 8 საგანმანათლებლო პროგრამა. აქედან 4 საგნობრივი და 4 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. ერთ-ერთი საგნობრივი პროგრამის - ,,ექთნის თანაშემწე" - განხორციელებას გეგმავს როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. თითოეული საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, ხოლო, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მოდულები არის ადაპტირებული და მორგებულია დაწესებულების რეალობას და რესურსებს.

ვიზიტის დროს შეირჩა რამოდენიმე პარტნიორი დაწესებულება და ადგილზე მოხდა გასაუბრება პოტენციურ დამსაქმებლებთან, როგორებიცაა: შპს ჯეო ჰოსპიტალსი, შპს ავერსის კლინიკა, სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია", აფთიაქი ,,ჯორჯია'', ინდმეწარმე ზაქიირ მუსაკულოვი და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მათთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის თაობაზე და გამოვლინდა, რომ მათ უმრავლესობას უკვე აქვს კოლეჯთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება.

ექსპერტმა განმარტა, რომ შპს მარნეულის კოლეჯი არის საზოგადოებრივი კოლეჯი და მას უფლება აქვს განახორციელოს ხუთივე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტის დროს, ასევე, შედგა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოამჟღავნეს გარკვეული ცოდნა, რაც შესაძლებელი იყო ინტერვიუს დროს გამოვლენილიყო. გამოიკვეთა, რომ აზერბაიჯანულენოვანი პროფესიული სტუდენტები ძალიან კარგად მეტყველებენ ქართულად.

გარდა ამისა, შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა, ასევე, მატერიალური რესურსი. დადგინდა, რომ მატერიალური რესურსი შესაბამისობაში იყო მოდულებით მოთხოვნილთან.

ექსპერტთა შეფასებით შპს მარნეულის კოლეჯი აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

ექსპერტი, ასევე, შეეხო კოლეჯში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას:
ა) შპს მარნეულის კოლეჯს აქტიური თანამშრომლობა აქვს პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებიც ფაქტიურად პოტენციური დამსაქმებლებიც არიან კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის. მათი მხრიდან გამოიხატა განსაკუთრებული მზაობა და მხარდაჭერა დაწესებულების მიმართ. ადგილზე, ობიექტებზე ვიზიტისას, ინტერვიურებით, ჩვენს მიერ დაფიქსირდა მათ მიერ დასაქმებული ახალგაზრდები, რომლებიც შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულები არიან.

ბ) თვალშისაცემია და ინტერვიურებით სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გამოიკვეთა საზოგადოებრივი კოლეჯის სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის სოციალური მიმართულებით, ადგილობრივი, არაეთნიკური ქართველების საზოგადოებრივი ინტეგრაციის მიზნით.

გ) 2016-2017 წლებში დაწესებულებაში განხორციელდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა", რომლის ფარგლებშიც 130 ადამიანმა გაიარა სასწავლო კურსი და მათგან 126-მა აითვისა სასწავლო პროგრამა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი.

დ) 2017 წელს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარდა საქართველოს კერძო კოლეჯების ბრენდირება, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ვარსკვლავების მინიჭებას სასწავლებლისათვის. მარნეულის კოლეჯმა, რომელიც 2016 წლის მდგომარეობით ოთხვარსკვლავიანი კოლეჯის სტატუსს ფლობდა, 2017 წელს ხუთვარსკვლავიანი სტატუსი მოიპოვა.

ბატონმა მამია ჯანჯალიამ ექსპერტს მიმართა თხოვნით საბჭოსთვის გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაციები.

ციური დურულმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

ა) საგნობრივ პროგრამებში შეფასების სისტემა ერთგვაროვანია, კერძოდ, მიმდინარე შეფასება-30 ქულა, შუალედური გამოცდა-30 ქულა, დასკვნითი გამოცდა-40 ქულა. სასურველია, შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს საგნების სპეციფიკას და გამოხატული იყოს მასწავლებლების ინდივიდუალური მიდგომა.

ბ) დაწესებულების ვებგვერდზე ბოლოს დადებული ინფორმაცია თარიღდება 2018 წლის 11 მაისით. სასურველია, ვებგვერდის განახლება მოხდეს მეტი ინტენსივობით. რეალურად, დაწესებულება ბევრად მეტ ღონისძიებებს/აქტივობებს ახორციელებს და ასახავს სოციალურ ქსელში, ფეისბუქის გვერდზე, ვიდრე დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე.

გ) სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მეტად დაკონკრეტებული ამოცანების/ ღონისძიებების ასახვაზე იყოს ორიენტირებული, მაგ.: კონკრეტულად, რომელი ახალი პროგრამის დამატებაზე მუშაობს დაწესებულება, რადგან ერთი წლის ვადით არის განსაზღვრული სასურველია, რომ ჰქონდეთ ჩამოყალიბებული თუ რომელი პროგრამის დამატებას აპირებენ.

შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, ნინო გომელაურმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტებმა მისცეს ძალიან საქმიანი და მნიშვნელოვანია, ამიტომ მეორე დღესვე დაიწყეს ამ რეკომენდაციების ხორცშესხმა. მასწავლებლებს მიეცათ რეკომედაცია გადახედონ შეფასების სისტემას, დაწყებულია მოლაპარაკებები ახალი ვებგვერდის შექმნის შესახებ, რადგან არსებული, რომელიც 2014 წელს შეიქმნა, არ იძლევა ინტერაქტიულობის საშუალებას. ვინაიდან საკმაოდ მოცულობითია ორ ენაზე ვებგვერდის მუშაობა, კოლეჯმა კადრიც აიყვანა, ვინც შემდგომში მართავს ვებგვერდს. გარდა ამისა,

ქალბატონმა ნინო გომელაურმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, თუ იქნებოდა შესაძლებელი ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრათ 26-ით ნაცვლად 25-სა. აქვე განმარტა, აღნიშნული ცვლილების მიზეზი - ვიზიტის დასრულების შემდეგ კოლეჯს მიმართა ერთმა ,,ფარმაცევტის თანაშემწის" სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა და მოთხოვნის საფუძველზე სტუდენტს აღუდგინეს სტატუსი. იმისთვის, რომ აღნიშნულ სტუდენტს მიეცეს კვალიფიკაციის მინიჭების და დიპლომის აღების საშუალება და ეს კოლეჯმა შეძლოს ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის გარეშე, ,,ფარმაცევტის თანაშემწის" პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უნდა შეადგენდეს 26-ს. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ შესაძლებელია ,,ფარმაცევტის თანაშემწის" პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდნობა განისაზღვროს 26-ით და შესაბამისად სრული ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 373_ით.

კახაბერ ერაძემ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარისაგან ითხოვა თანხმობა, ჩართულიყო საკითხის განხილვაში, რაზეც თანხმობა მიიღო. კახაბერ ერაძემ მადლობა გადაუხადა იმ ექსპერტებს, რომელებიც მონიტორინგზე იყვნენ შპს მარნეულის კოლეჯში 2017 წელს. აღნიშნა, რომ 2017 წელს საბჭომ განიხილა აღნიშნული კოლეჯის მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა, სადაც საკმაოდ ბევრი ხარვეზი ფიქსირდებოდა. საბჭომ დასკვნაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებას განუსაზღვრა ვადა და სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ დღეისათვის წარმოდგენილ ავტორიზაციის ვიზიტის დასკვნაში ფაქტობრივად ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ბატონმა კახაბერ ერაძემ მადლობა გადაუხადა ასევე კოლეჯის წარმომადგენლებს, რომლებმაც ადეკვატურად მიიღეს რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 373-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს მარნეულის კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 373-ით.

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	ქართული	48	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
2	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	რუსული	30	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
3	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	37	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
4	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	ქართული	26	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	126	156	ქართული	124	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

2	აღმზრდელი (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	32	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
3	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	44	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
4	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	32	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიაში'' განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საკითხი წარადგინა ნინო სტეფანიშვილმა, რომელმაც შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭომ, 2018 წლის 14 ივნისის №10 სხდომაზე, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიას" 2018 წელს განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად, მისცა საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით ცენტრი უფლებამოსილი იყო დაწესებულებიდან გამოეთხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია. შესაბამისად არ განხორციელებულა განმეორებითი მონიტორინგის ვიზიტი და ცენტრმა გამოითხოვა ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებები, რომლებიც დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა 2018 წლის 12 ივლისს, ხოლო 17 ივლისს დამატებით წარმოადგინა ტექნიკურად გამორჩენილი დოკუმენტაცია.

მონიტორინგის ვიზიტის თავდაპირველ დასკვნაში სამი ქვესტანდარტის დარღვევა იყო დაფიქსირებული:

პირველ ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო ლიტერატურის ბაღდათის ფილიალში გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტები და ფოტომასალა. აგრეთვე, მიმდინარე წლის 19 და 20 ივლისს ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში პროგრამების დამატების მიზნით იმყოფებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი და ცენტრის წარმომადგენელი საბა ელაშვილი, ექსპერტებმა ადგილზე გადაამოწმეს ლიტერატურის არსებობა, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ორივე პროგრამის მოდულებში მითითებული, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული, სახელმძღვანელოები, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, იყო ადგილზე, ბაღდათის ფილიალის ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, ხარვეზი აღმოფხვრილია.

მეორე ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებების რეგისტრაციის დასკანერებული ჟურნალი. საბჭოს სხდომაზე დაწესებულებამ მატერიალურად წარმოადგინა, როგორც ზემოაღნიშნული ჟურნალი, ასევე პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალიც.

მანანა მახარაშვილმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია ჟურნალების აკინძვასთან დაკავშირებით.

ამ ნაწილშიც საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია.

მესამე ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა პროფესიული განათლების 67 მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულების განმარტებით, 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან აღარ გაფორმდა ხელშეკრულებები, რადგანაც პროგრამები, რომლებსაც ისინი ასწავლიდნენ დასრულდა და აღარ განხორციელდება. ხოლო სამი პირი, რომლთა ხელშეკრულებებიც გამოაგზავნა, იყვნენ ჟესტური ენის თარჯიმნები და შედიოდნენ დასკვნაში დაფიქსირებულ 79 პროფესიული განათლების მასწავლებლთა შორის, რაშიც დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ანა ცუცქირიძე დაეთანხმა.

ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ შრომით ხელშეკრულებებში ასახულია „სამუშაო ადგილი" კერძოდ, სად ხორციელდება დასაქმებულის შრომითი საქმიანობა (ბაღდადში თუ ქუთაისში), თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და საგნის/მოდულის სახელწოდება). რაც შეეხება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში არის ასეთი ჩანაწერი: „ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით". ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული კოფექსის მე-17 მუხლის მეოთხე პუნქტში წერია „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით" და მისცა დაწესებულებას რეკომენდაცია შრომით ხელშეკრულებაში დაკონკრეტდეს ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.

საბჭომ ამ ნაწილშიც მიიჩნია, რომ ხარვეზი გასწორებულია და თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ეკა ლუაშვილმა და სალომე სიორდიამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №553 ბრძანება, რომლის მიზანი იყო ორი:

1. ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის №7 სხდომის ოქმის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯის მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების შეფასება, თუ რამდენად მოახდინა დაწესებულებამ ხარვეზების გამოსწორება.

2. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში ადამიანური რესურსის, პროგრამის განმახორციელებლების, ცვლილებიდან გამომდინარე (რომელმაც გადააჭარბა 10%-ს) პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-8 მუხლთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დეტალურად იქნა შესწავლილი ყველა ხარვეზთან დაკავშირებული გარემოებები და ყველა ის აქტივობა, რაც დაწესებულებამ ხარვეზების გამოსასწორებლად გასწია. ექსპერტთა დასკვნით ყველა მათგანი გამოსწორებულია. რაც შეეხება ახალი ადამიანური რესურსების პირადი საქმეების შესწავლას - საგანმანათლებლო პროგრამას ყავს 20 განმახორციელებელი, ბაზის მიხედვით ვიზიტის დროს ფიქსირდებოდა 44 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 20 განმახორციელებლი პროფესიული განათლების მასწავლებლიდან 7 არის ახალი კადრი, რომელიც დაწესებულებამ დაამატა. შეიძლება ითქვას, რომ 20 - როგორც ახალი 7, ასევე ძველი 13 - შეესაბამება ავტორიზაციის

დებულების მერვე მუხლის მოთხოვნებს (მათი კვალიფიკაცია, მათთან გაფორმებული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი კონტრაქტები). ამ შემთხვევაში კოლეჯი იყენებს მომსახურეობის კონტრაქტს, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას და ამ ნაწილში დაწესებულებას პრობლემა არ უფიქსირდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი სტუდენტების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვიზიტის დროს დაწესებულებას უკვე ჰქონდა ცვლილების შინაარსი სტუდენტებისათვის გაცნობილი.

ცვლილება ასახული იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებული იყო ვებგვერდზე, ანუ საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო. თუმცა, ფორმალური სახით ხელმოწერილი არ იყო ყველა სტუდენტის მიერ ვიზიტის დროს. ექსპერტების მიერ წინა მონიტორინგის ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის პროცესი სრულად იყო დასრულებული, თუმცა მისი უკვე იმპლემენტაცია, ხელმოწერის თვალსაზრისით, ჯერ არ იყო დასრულებული ვიზიტის დროს.

ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ არსებობს ორი ფორმა: ა) ცვლილება, რომელიც კონტრაქტში შევა მასზე მეორე მხრიდან მზაობის გამოხატვით ეს არის ინდივიდუალურად, თითოეული ადამიანთან აღნიშნული ცვლილება იყოს ხელმოწერილი ინდივიდუალურ რეჟიმში, ბ) ის ცვლილებები, რაც კონტრაქტში განხორციელდა გამოტანილი იყოს ერთიანად და კონსოლიდირებული სახით იყოს ხელმოწერილი.

ელგუჯა მელაძის კითხვაზე თუ არის დამადასტურებელი დოკუმენტი ზემოაღნიშნული მეორე ფორმატის შესაბამისად, ეკა ლუაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია დანართების სახით.

ეკა ლუაშვილმა განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად ცვლილებების გაცნობა უნდა მოხდეს მხარისთვის და დადასტურება ხელმოწერით. როდესაც შინაარსი იცვლება, მასზე მზაობის გამოხატვის, ნების გამოხატვის ფორმა არის ხელმოწერა და მთავარი არსია მხარემ გაიზიაროს და ის არ მოხდეს ცალმხრივად. ამ საკითხს ეხება სამოქალაქო კოდექსის რამოდენიმე მუხლი გარიგებიდან დაწყებული დასრულებული სახელშეკრულებო ურთიერთობებით. ნების გამოხატვა ხდება მისი გაცნობით და ხელმოწერით.

კოლეჯის იურისტმა მარიამ წივწივაძემ განმარტა, რომ სტუდენტებთან დადებულია ხელშეკრულება და ეს ექსპერტების ვიზიტის დროსაც დადასტურდა, თუმცა ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული სტუდენტის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია აღნიშნული საკითხები გათვალისიწინებულიყო ხელშეკრულებაში. ხელშკრულების ფორმა გადამუშავდა და მასში სრულად იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები, ფაქტიურად მთლიანად შეიცვლა ხელშეკრულების შინაარსი. როდესაც სტუდენტებთან ფორმდებოდა ხელშეკრულებები, ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე შედგა ძალიან ბევრი შეხვედრა არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ მათი ოჯახის წარმომადგენლებთან, შესაბამისად ახალი ხელშკრულების გაფორმება კოლეჯისგან მოითხოვდა დროის ისეთ რესურსს რომელიც ექსპერტების ე.წ.

რემონიტორინგის დროისთვის შეიძლება ჯერ კიდევ არ ყოფილიყო დასრულებული. ამასთან, დაწესებულების მიერ განხორციელებული ცვლილება, რაც ხელშეკრულებაში შევიდა, გადატანილ იქნა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც, როგორც ექსპერტმა აღნიშნა გარდა იმისა რომ საჯაროა, დაწესებულებაშია გამოკრული, ვებგვერდზეა განთავსებული, გაეცნოთ სტუდენტებს და აღნიშნული ცვლილებების თაობაზე ხელმოწერები გაკეთდა ექსპერტების ვიზიტის დროს. სპეციალური აქტი შედგა, რომელზეც მოაწერეს ხელი. აქტის შინაარსით დასტურდება სწორედ ის, რომ სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია ცვლილების თაობაზე და იზიარებენ აღნიშნულს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ეხლა უკვე დასრულებულია ხელმოწერები. მოახდინეს სტუდენტების ინფორმირებულობა და ასევე უზრუნველყვეს ცვლილების საჯაროობა.

ექსპერტმა სალომე სიორდიამ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებას თითქმის ყველა მოდულში აღნიშნული ჰქონდა, რომ შედეგები მიიღწეოდა C გარემოში, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას გააჩნია ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატი ასევე, მონიტორი და უნივერსალური მულაჟი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა სწავლება რეალურ გარემოში.

საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზები გასწორებულია და კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 402022609) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის გ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30[2] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე.

ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამის კრედიტების ცვლილებას.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა მარიამ ტვილდიანმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №14

გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	150	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი, №117

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

5. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნათია ქაჯაიამ და ეკა ბარათაშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 7 მაისის №391 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით, მე-7 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის ,,ა", ,,ბ", ,,გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტანდარტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ქაჯაიამ, აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 21 მაისს, ვიზიტი იყო არაგეგმიური ხასიათის და მის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე დაწესებულების კურსდამთავრებულის მშობლის განცხადება, რომელიც გადმოიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისად, ცენტრმა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი და დაევალა განცხადებაში დაფიქსირებული საკითხების შესწავლა. მშობლის განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა. თუმცა, გამოვლინდა ავტორიზაციის სტანდარტების და ქვესტანდარტების დარღვევის ფაქტები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებაში კეთილგანწყობილი გარემო იყო. დაწესებულებას ჰყავს საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი. აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა საქართველოში. როგორც დაწესებულებაში განუმარტეს, იგი ფინანსური სამსახურის უფროსთან ერთად სამსახურებივი ვიზიტით

მივლინებაში იმყოფებოდა და დაწესებულების ხელმძღვანელისგან ფუნქციები დელეგირებული ჰქონდა ქალბატონ ირმა ლომაიას.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დარღვევები, რაც ვიზიტის დროს დაფიქსირდა:

1.4 ქვესტანდარტი – დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები:

- დაწესებულება არღვევს საკუთარი რეგულაციით განსაზღვრულ, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურას, კერძოდ დარღვეულია დირექტორის 2016 წლის12 ივნისის №მ/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-17 მუხლის მოთხოვნა; არ არსებობს სტუდენტთა განცხადებები სტატუსის მოპოვების შესახებ; სპეციალური კომისის, მისი საოქმო დადგენილება, რომლითაც კოლეჯის დირექტორს კომისია გაუწევდა რეკომენდაციას საბუთების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.
- დაწესებულება არ აკმაყოფილებს №060451 პროფესიული სტანდარტით დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობას, კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია პირი 16 წლის ასაკამდე, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესიული კვალიფიკაცია და დაწესებულების მიერ გაცემულია პროფესიული დიპლომი.
- დაწესებულება არღვევს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ არასრულწლოვან სტუდენტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე.

2.5 ქვესტანდარტი – დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა:

- დაწესებულება არღვევს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწაროების წესს, კონკრეტულად, გამოვლენილია ბრძანებების, ასევე აპლიკანტთა განაცხადების და ხელშეკრულებების დათარიღების, რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნარეშელაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სტუდენტთა რაოდენობის და ასევე, სტუდენტების დაწესებულებაში მიღების პროცედურის დაზუსტების თხოვნით.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნატალია ბარათელმა, აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი მიმდინარეობდა ერთი დღის განმავლობაში. თითო სტანდარტიდან შემოწმდა თითო ქვესტანდარტი, რიგი ქვესტანდარტები არ შემოწმებულა. ყველაზე პრობლემურად მიიჩნია და კოლეჯის

შეცდომად აღიარა, რომ შეეშალათ და 16 წლამდე პირი ჩარიცხეს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) პროგრამაზე. აღნიშნა, რომ ყურადღება მიაქცია დაბადების წელს და არა დაბადების თვეს. პირს ჩარიცხვისას აკლდა 16 წლამდე ოთხი თვე. სტუდენტი ჩაირიცხა თებერვალში და 16 წლის გახდა ივნისში, ნოემბერში მას მიენიჭა კვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ კერძო დაწესებულებებს თავის დროზე ბაზის წარმოება არ ევალებოდათ და მხოლოდ ერთი წლის წინ დაისვა მისი სავალდებულოდ წარმოების საკითხი ყველა დაწესებულებისთვის, შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯი 2011 წლიდან აწარმოებს ბაზას. მისი მოსაზრებით, ბაზა რომ იყოს ზუსტად ისე მოწესრიგებული, როგორც არის უმაღლეს დაწესებულებებში, სადაც სტუდენტის მონაცემების შეყვანისას ბაზა ავტომატურად აწითლებს თუ მას რაიმე ხარვეზი აქვს, ეს ძალიან კარგი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ადმინისტრაცია იმიტომ არის და საბუთების მიმღები ორგანო იმიტომ არის, რომ პასუხისმგებლობას იღებს თითოეულ შემოტანილ საბუთთან დაკავშირებით. ოთხ თვეში კი არა, მეორე დღესაც რომ უსრულდებოდეს პირს 16 წელი, დაწესებულებას არ აქვს უფლება ჩარიცხოს პირი.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნატალია ბარათელმა დააზუსტა, რომ დაწესებულების მიერ დაშვებულია შეცდომა, თუმცა ოთხი თვის მერე რომ ჩარიცხულიყო დადგებოდა, ზუსტად იგივე იურიდიული შედეგი და ეს სტუდენტი აიღებდა დიპლომს. თუ კი დაწესებულება მოახდენს დიპლომის გაუქმებას, ეს იმას ნიშნავს რომ დაარღვევს სტუდენტის უფლებებს, რომელმაც უკვე დაამთავრა სწავლა. ეს არის ისეთი შემთხვევა რომელსაც, ამ ეტაპზე ვერაფრით ვუშველით. როგორც, ქალბატონმა ნატალია ბარათელმა აღნიშნა დაწესებულებაში იმსჯელეს, რომ გაეუქმებინათ დიპლომი და შეეთავაზებინათ აღნიშნული პირისთვის რამე სხვა ან თუნდაც იგივე კრიმინალისტის (დაქტილოსკოპისტის) პროგრამა, მაშინ გამოდიოდა, რომ დაწესებულებას ფორმალურად უნდა გაეცა დიპლომი, რადგან პირს უკვე გავლილი აქვს ეს სასწავლო კურსები.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დამფუძნებელმა და დირექტორმა, მარიამ მესხიშვილი-ეფაძემ, განმარტა, რომ მათ დაიბარეს ეს სტუდენტი და აუხსნეს რა პრობლემა დადგა, განუმარტეს, რომ იმ შემთხვევაში თუ დადგებოდა მისი დიპლომის გაუქმების საჭიროება, მას შესთავაზებდნენ სხვა სპეციალობაზე ჩარიცხვას, დაწესებულება აიღებდა ფინანსურ ვალდებულებას საკუთარ თავზე და უფასოდ ასწავლიდა. მამია ჯანჯალიას კითხვაზე როდის დააფიქსირეს ხარვეზი, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ხარვეზის დაფიქსირება მოხდა მონიტორინგის ვიზიტისას. მამია ჯანჯალიამ დააზუსტა, რომ აღნიშნული მოხდა მას შემდეგ, რაც პირს უკვე დამთავრებული ქონდა სწავლა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული დაუდასტურეს.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნატალია ბარათელმა, ეკატერინე ნარეშელაშვილის კითხვაზე, თუ როგორ ხდება სტუდენტების ჩარიცხვა განმარტა, რომ ცხადდება ჩარიცხვა დირექტორის ბრძანების

შესაბამისად. გარკვეულ პერიოდში შემოდის განცხადებები. საბუთებს განიხილავს კომისია, შემდეგ აკეთებს წარდგენას დირექტორის მიმართ და ამის შემდეგ ირიცხება სტუდენტი. დებულებაში პირდაპირ წერია, რომ კონკურსის შემთხვევაში ხდება გასაუბრება. შენიშნა, რომ თუ იმაზე ნაკლები რაოდენობის განაცხადი დაფიქსირდება, ვიდრე დაწესებულებასს გამოცხადებულია აქვს, ამ შემთხვევაში ცხადია გასაუბრება არ ხდება.

მამია ჯანჯალიმ დააზუსტა თუ არსებობს კომისიის წარდგინების საფუძველზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანებები ნამდვილად არის გამოცემული.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის იურისტმა, მარიამ წივწივაძემ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ ბრძანებასთან ერთად, ასევე არსებობს კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება.

მამია ჯანჯალიამ განმარტა, რომ აუცილებელია არსებობდეს საოქმო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც უნდა გამოიცეს დირექტორის ბრძანება.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტმა, მარიამ წივწივაძემ დამატებით განმარტა, რომ პროცედურა, რომელიც გაწერილია დაწესებულების შიდა რეგულაციებში - უნდა გამოცემულიყო ბრძანება, შექმნილიყო კომისია და ოქმის საფუძველზე შემდეგ გამოცემულიყო ჩარიცხვის შესახებ ბრძანება - ნაწილობრივ დაცული იყო, შეიქმნა კომისია, თუმცა მისი ფორმალური ნაწილი ვერ შესრულდა, რაც მოიცავს ოქმის შედგენას.

მამია ჯანჯალიამ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვნებთან იყო ხელშეკრულებები გაფორმებული.

ექსპერტმა ნათია ქაჯაიამ განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების შესწავლისას გადამოწმდა ჩარიცხვის მომენტისთვის ამ პროფესიული სტუდენტების ასაკი და გამოიკვეთა, რომ 4 შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერდა არასრულწლოვანი პირი. სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად გარიგება და ხელშეკრულება დადებული უნდა ყოფილიყო წარმომადგენლის თანხმობით, რაც არ იყო სახეზე.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნატალია ბარათელმა, დაადასტურა რომ აღნიშნული 4 შემთხვევა ნამდვილად ფიქსირდება. შენიშნა, რაც შეეხება იმას, რომ ხელშეკრულებებისთვის არ იყო ჟურნალები და არ იყო გატარებული - დაწესებულებამ 2011 წელს გაიარა ავტორიზაცია, 2016 წელს რეავტორიზაცია, 2016 წლის ივლისში ანუ ორი წელია გასული. 2017 წლის მარტიდან დაიწყო ინტენსიური მონიტორინგები, ერთი იყო უცხოენოვან პროგრამებთან დაკავშირებით, არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა. მთლიანად გადამოწმდა დაწესებულება. შემდეგ ზედიზედ იყო ასევე სამი მონიტორინგი, სადაც არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი ხარვეზები და შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. დაწესებულებამ მიიღო არაჩვეულებრივი რეკომენდაციები, ასეთივე რეკომენდაცია რომ ჰქონოდათ აღნიშნულ საკითხზე აუცილებლად გასწორდებოდა. აღნიშნა, რომ რეკომენდაციის შემთხვევაში,

აუცილებლად გაითვალისწინებდნენ და დანომრავდნენ ხელშეკრულებებს და ხელახლა წიგნს გააკეთებდნენ.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დამფუძნებელმა და დირექტორმა, მარიამ მესხიშვილი-ეფაძემ განმარტა, რომ ჟურნალები, რასაკვირველია იყო და ხელშეკრულებები იყო გატარებული გვარების მიხედვით, თუმცა დაწესებულების დიდი შეცდომა იყო ის, რომ არ იყო დათარიღებული და არ იყო დანომრილი.

ექსპერტი, ნათია ქაჯაია არ დაეთანხმა, რომ ექსპერტებმა რაიმე ჟურნალი ნახეს ვიზიტის დროს, თუნდაც გვარების მიხედვით გატერებული სახით, სადაც აღრიცხული იქნებოდა ხელშეკრულებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის დასტურად ადგილზევე შეადგინეს ოქმი და დაწესებულების წარმომადგენლებმა ხელმოწერით დაუდასტურეს. ექსპერტმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ აღრიცხვიანობა ხელშეკრულების არ ხდებოდა და არც თარიღი ჰქონდა მინიჭებული.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დამფუძნებელმა და დირექტორმა, მარიამ მესხიშვილი-ეფაძემ განმარტა, რომ ის არ იმყოფებოდა ვიზიტის დროს საქართველოში, დაწესებულების შეცდომა იყო ის, რომ ჟურნალები იყო დირექტორის კაბინეტში იმ მემორანდუმების ჟურნალებთან ერთად, რომელბიც ექსპერტებმა ვერ ნახეს. დირექტორმა განმარტა თუ რატომ იყო მის კაბინეტში. წინა დღეებში მასთან მისული იყო ის მშობელი, რომელმაც განაცხადა აღნიშნული პრეტენზია, ამიტომ ყველა ის საბუთი, რომელიც შეეხებოდა ამ შემთხვევას თანამშრომელს კაბინეტში მიატანინა. როდესაც ის საქართველოში ჩამოვიდა აღნიშნული ჟურნალების ქსეროასლები გააკეთეს და გადააგზავნეს ცენტრში.

ელგუჯა მელაძემ შენიშნა, რომ დირექტორის მივლინება არ არის იმის მიზეზი, რომ ექსპერტებმა ვერ ნახეს დოკუმენტები და ეს ვერ იქნებოდა არგუმენტი.

საბჭოს წევრი მალხაზ შურღულაია დაინტერესდა თუ იყო გასაუბრება სტუდენტებთან. ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ სტუდენტებთან გასაუბრება შედგა და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ძალიან კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით. ასევე, გაესაუბრნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტს, რომელიც, ასევე, გამოხატავდა კმაყოფილებას დაწესებულებაში არსებული სასწავლო პროცესისადმი და მისდამი დამოკიდებულების გამო.

მამია ჯანჯალიას კითხვაზე თუ შეძლებდნენ წარმოედგინათ აღნიშნული ჟურნალები, გვერდით მინაწერი თარიღებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ სხდომაზე ჰქონდათ მოტანილი ჟურნალების ასლები.

ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ როგორც კი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი დასრულდა დაწესებულებამ საქმისწარმოების ხარვეზების გამოსწორება დაიწყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელგუჯა მელაძემ განმარტა, რომ საბჭო ეყრდნობა ექსპერტების მიერ წარდგენილ ინფორმაციას და ვერ დაეყრდნობიან ზეპირ განცხადებებს.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის დამფუძნებელმა და დირექტორმა, მარიამ მესხიშვილი-ეფაძემ განმარტა, რომ მასთან კაბინეტში იყო ჟურალი, სადაც ტარდებოდა განცხადებები და ხელშეკრულებები და ასევე იყო მეორე ჟურნალი, რომელშიც იყო აღრიცხული მემორანდუმები. ასევე, განაცხადა, რომ ორივე ჟურნალი იქნა გადმოგზავნილი და ექსპერტებმა გაითვალისწინეს მხოლოდ ერთი და მეორე არ გაითვალისწინეს.

ნათია ქაჯაია არ დაეთანხმა დაწესებულების დირექტორის განცხადებას, თითქოს ექსპერტებმა დასკვნაში გაითავლისწინეს მხოლოდ მემორანდუმების ჟურნალი და არ გაითვალისწინეს ხელშეკრულებების ჟურნალი. ექსპერტები ვერ გაითვალისწინებდნენ წარმოდგენილს, რამდენადაც დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იყო ჟურნალების მხოლოდ პირველი გვერდები და შინაარსი ექსპერტებისთვის იყო უცნობი. შენიშნა, რომ დასკვნაში გაითვალისწინეს ის მემორანდუმები, რომელიც იყო გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილ კორესპონდენციაში. ექსპერტმა ნათია ქაჯაიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ მათ ჟურნალები ვერ ნახეს.

ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ გარდა იმ ხარვეზისა, რომ კვალიფიკაცია არის მინიჭებული არასწორად, აქ არ არის ისეთი ხარვეზები, რომელიც ვერ გამოსწორდება. ნებისმიერი საქმისწარმოების ხარვეზი, თუ ეს არ არის კრიმინალური დარღვევა, შესაძლებელია გამოსწორდეს.

ნათია ქაჯაიამ საბჭოს გააცნო ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში 5 დღის ვადაში ასახოს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე–13 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.
2. დაწესებულების გაეწია რეკომენდაცია, რომ მარეგულირებელ აქტებში გათვალისწინებული დებულებები შეასრულოს საგანმანათლებლო საქმიანობაში;
3. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ პროფესიული სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაცია სრულად და სწორად ასახოს, როგორც პირად საქმეებში, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. დაწესებულების გაეწია რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს და დაამტკიცოს მარეგულირებელი აქტი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით თითოეული თანამდებობისათვის;
5. დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ დასაქმებულ პერსონალს გააცნოს მარეგულირებელი აქტები და მოამზადოს შესასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებული აქტების, მათ შორის შინაგანაწესის და დაწესებულებაში დადგენილი სხვა რეგულაციების პერსონალისათვის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკითხის განხილვის შემდეგ სათათბიროდ 19:00 სთ-ზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 20:25 სთ-ზე.

სხდომის თავმჯდომარემ ელგუჯა მელაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტების მიზნით, თუ რამდენად იყვნენ მზად და გამოხატავდნენ ნებას იმისა, რომ გამოესწორებინათ მონიტორინგის დასკვნაში არსებული ხარვეზები.

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის დამფუძნებელმა და დირექტორმა საბჭოს დაუდასტურა დაწესებულების მზაობა მონიტორინგის დასკვნაში არსებული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

ელგუჯა მელაძემ განაცხადა, რომ პირველი საკითხი, რაც შეეხება მშობლის განცხადებას, მისი შინაარსი სცდება საბჭოს კომპეტენციას და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ აღნიშნული საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განხილვის მიზნით გადააგზავნოს შესაბამის ორგანოებს.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის ხელმძღვანელი ადასტურებ, რომ დაწესებულება მზად არის გამოასწოროს მონიტორინგის დასკვნაში არსებული ხარვეზები, საბჭომ გადაწყვეტა, რომ კოლეჯს მიეცეს 30 კალენდარული დღის ვადა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად და რეკომენდაციების გასათვალისიწინებლად. საბჭოს სხდომის შემდეგ 30 კალენდარული დღის ვადის გასვლისას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელოს სრული მონიტორინგი, ამჯერად არა შერჩევითი საკითხებით, არამედ სრული მონიტორინგი, ყველა სტანდარტთან მიმართებით. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ განმეორებითი ვიზიტისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენთა ბაზის სრულყოფა, რათა მოხდეს პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება, რაც ექსპერტებს მისცემს სტუდენტებთან ინტერვიურების საშუალებას.

საბჭოს წევრმა, მალხაზ შურღულაიამ საბჭოს წევრებს შესთავაზა დაწესებულებისთვის ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცათ 45 კალენდარული დღე. საბჭოს წევრებმა აღნიშნული წინადადება არ გაიზიარეს. უმრავლესობის გადაწყვეტილებით, დაწესებულებას ხარვეზების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 30 კალენდარული დღე.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცეს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე. საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ კოლეჯში განხორციელდეს სრული მონიტორინგი და შედეგები ეცნობოს საბჭოს.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 20:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
მანანა მახარაშვილი